# ერი

№ 2
წელიწადი მეორე
1914

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურათ . . . . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით. . . . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

პარასკევი, 3 იანვარი.
მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ" Ивановская, д. Энгалычева.

ტელეფონი № 149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რადიუმი"
ხუთშაბათი, 2 იანვრიდან დიდი სადღესასწაულო პროგ.
I. პატეუფურნალი.
II. ქაირის უმაღლესი უბანი
III. საიდუმლო ქალები
დრ. 3 მოქმ.
ასტა ნილსენის მონაწილეობით, ურბან გოდის სცენარით.
IV. დურაშკინი-ქვის მტეხელი
კომიკური.
მოკლე ხანში აჩვენებენ საუცხოვო ფერადებიან სურათს
ღმერთების ხიყვარული
პარიზის ოპერის მაცეკვარი ნაპერკოვსკას ქალის მონაწილეობით.

დრაფი ზიბერი ტრიკო მაუდი.
კავშზე დამყარებული ამხანაგობა
ს. მ. კირაკოზოვი და ბ. ბ. ოგანოვი
ბუმაზეი ფლანელი ვიგონი შოტლანდკა.

მიღებულია დიდძალი საზამთრო საქონელი
კოტიკი პლიუში ველვეტი.
შაბათობით იყიდება იაფათ ნაჭრები.
ველვეტინი გენუა იდეალი ფლორა.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„ე რ ი"
ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის
გაზეთში ახლო მონაწილეობას მიიღებენ ჩვენში ცნობილი პუბლიცისტები, ბელეტრისტები და კრიტიკოსები.

| გაზეთის ფასი: | | |
| --- | --- | --- |
| | ერთი წლით | 7 მანეთი. |
| | ნახევარი წლით | 4 მანეთი. |
| | ერთი თვით | 4 აბაზი. |
| | და ცალკე ნუმრის | 1 შაური. |

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მ., ½ წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.
სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურათ 5 მ., ნახევარ წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზათ.
მისამართი რედაქციისა და კანტორისა: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ" ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს დასაკვეთი ფულიც და სხვ. ივანოვის ქუჩა.

პარასკევს, 3 იანვარს, ხონის მაცხოვრის ეკლესიაზე გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი დედის
ქრისტინეს
სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები: კატო, გიორგი და ვუკოლე ბსრიძეები.

საჯარო ლექცია
კვირას, 5 იანვარს 1914 წ.
პეტერბურგის პსიხო-ნევროლოგიური ინსტიტუტის და ქალთა უმაღლესი კურსების პროფესორი კ. ნ. სპერანსკი წაიკითხავს საჯარო ლექციას ქალაქის თეატრში შემდეგ თემაზე.
„ჩვენი დროის ფაუსტები და მეფისტოფელები"
დაწვრილებით პროგრამაში.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე ადგილების ფასები 10 შაურიდან—2 მან. ქანდარა 5 შ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

1913 წლის 20 ნოემბრიდან
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ გახსნა საკუთარი
ახალი სტამბა
— ქუთაისში —
სტამბა საუკეთესოთაა მოწყობილი და იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს ქალაქსა და პროვინციებიდან:—ქართულ, რუსულ და სხ. ენებზე ზომიერ ფასებში.

18 დეკემბრიდან
დაიწყო ხელის მოწერა
ია ეკალაძის (ა. ცინცაძის) მოთხრობათა მეორე ტომის გამოსაცემად
წიგნი შეიცავს 400—500 გვერდს დართული ექმნება ავტორის სურათი, ფაქსიმილე და კრიტიკული განხილვა.
წიგნი გამოიცემა ავტორის ხელმძღვანელობით სუფთად და ლამაზათ.
ხელის მოწერა მიიღება ბბ-ნ თ. მთავრიშვილის, კ. ოცხელის, „პროვინციის" წიგნის მაღაზიებში და კერძო აგენტებთან.
ფასი ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი.
მიწერ-მოწერა მხოლოდ ავტორთან, შემდეგის მისამართით; ქუთაისი, კათოლიკეთა ქუჩა, სახლი ხოჯევანოვისა.
გამომცემელი ია. ცინცაძე.

ქ. ქუთაისში
ვაჭრობამრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
საბუღალტერო კურსები
გ. გ. გიგინეიშვილისა
15 იანვრიდან იხსნება მეორე პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით, ანუ შესაფერ გამოცდის შემდეგ რუსულსა და არითმეტიკაში. კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მანეთი. თხოვნები მიიღება ყოველდღე კურსების კანცელარიაში.

ქუთაისი
პირველი კერძო სამკურნალო
სპეციალისტი ექიმებით.
მუდმივი საწოლებით თ. ა. რეღიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.
ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

| | |
| --- | --- |
| **დილით.** | |
| გ. ა. აშიანცი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. | 1—2 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის | 10—12 |
| ა. ა. რეღიგიონი—ოთოლარინგოლოგიური, ქალთა, საბებიო | 11—12 |
| მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12—2 |
| გ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. | 12½ 2 |
| **საღამოთ.** | |
| ბ. დ. ქორქაშვილი—თვალის | 4½—5½ |
| გ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. | 5½—6½ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—სანიტარული კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა.
ტელეფონი № 53
სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოლოშვილი. წ.

ქუთაისი.
თ. მთავრიშვილის და ამხ.
წიგნისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში
იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო ქართულსა და რუსულ ენაზე შედგენილი. მაღაზიას მუდმივ მოსდის ახალ-ახალი რუსული და ქართული წიგნები, როგორც რუსეთის ცნობილი ფირმებიდან, ისე საქართველოს ყოველი ქალაქიდან—დაბეჭდვისთანავე.
პროვინციის მოთხოვნილებას მაღაზია დაუყონებლივ აკმაყოფილებს.
მაღაზია ღებულობს ხელის მოწერას ყველა რუსულსა და ქართულ ჟურნალ-გაზეთზე.

ალ. ჭიჭინაძისაგან შედგენილი წიგნები:
1. „მცენარეები და ცხოველები ცხელი ქვეყნისა" და 2. „შორეულ ქვეყნებში მოგზაურობა გეოგრაფიისა"—
სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან ნება დართულია მოსწავლეებისა და მასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის.
წიგნები იყიდება თ. მთავრიშვილის. და ამხ. მაღაზიაში.

აქიმი ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.
მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

იყიდება კახიანაურში რკინის გზის გადასავალთან ორსართულიანი ქვიტკირის სახლი, დაგირავებული ბანკში, ღვინის სარდაფით, სარაიათი და ბაღით, ზომით 400 კვ. საჟ. პირობების გაგება შეიძლება ტ. მ. კნუნთან, თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.

აქიმი კ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

აქიმი დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშვების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

## ქუთაისი, 3 იანვარი.

კარგა ხანია გაზეთები ცნობებს გვაწვდიან ტირიფონის ველის სამხედრო უწყების მიერ დაპატრონების შესახებ. როგორც გამოირკვა, სამხედრო უწყებას განუზრახავს შეისყიდოს შუა გულ ქართლში 12 ათასი დესიატინა საუკეთესო ადგილი, 15—20 ვერსტის სიგრძეზე ამ ადგილზე თურმე ააშენებენ ყაზარმებს, გააკეთებენ ჯარისკაცთა სავარჯიშო მოედნებს და დააბანაკებენ ასიათას ჯარის კაცს.

ეს მიწები დღეს რამდენიმე ქართლის თავად-აზნაურის საკუთრებას შეადგენს, ხოლო დასახლებულია გლეხებით, რომელთაც თორმეტი სოფელი აქვთ გაშენებული ამ მიდამოებზე. გლეხებს საკუთარი მიწა თითქმის არ აქვთ. ისინი მემამულეთა მიწებს ამუშავებენ. დაახლოვებით აქ შვიდას კომლზე მეტი სცხოვრობს. ცხადია, ხსენებულ გლეხებს დიდი უბედურება მოელისთ, თუ სამხედრო უწყების განზრახვა განხორციელდა, ან კი რა დაუდგება წინ მის განხორციელებას. ისინი უნდა აიყარონ იმ ადგილებიდან, მოშალონ მოსახლეობა, დასტოვონ მათი და მათ მამა-პაპათა შრომით განაყოფიერებული, განაყივრებული მიწები და ეძიონ ახალი თავშესაფარი. ვინ იცის, რამდენ თაობას უმუშავია, რამდენი ოფლი და სისხლი დაქცეულა ამ ისტორიულ ველზე, რამდენ მოგონებას ულვიძებს ის არა მარტო ადგილობრივ მცხოვრებთ, არამედ ყოველ ქართველს და აქ ისტორიულ ადგილებზე უნდა აშენდეს ყაზარმები, წარიხოცოს კვალი ქართველთ ცხოვრებისა. ერთი გაზეთი ამის შესახებ სწერდა: ქართველი თავადები სიამოვნებით მიყიდიან ამ მიწებს სამხედრო უწყებას და მერე კახურით სამშობლოს სადღეგრძელოს დალევენო. შეიძლება, ასეც ქნან იმ ქართველმა თავადებმა, რომელთაც ეს მიწები ეკუთვნისთ, მაგრამ უბედურება ამ შემთხვევაში კიდევ მეტია, მით რომ თავადების სურვილზე აღარ არის აქ საქმე. თუ კი სამხედრო უწყებას თავის საჭიროებისათვის ამ მიწების შეძენა სურს, თავადებმა გაყიდვა კიდეც რომ არ მოინდომონ, „სახელმწიფოებრივი საჭიროებისთვის" მათ იძულებით ჩამოართმევენ მამულებს. ამ საკითხს ისინი, ვის ხელთაც დღეს ძალა და უფლებაა, ისე შეხვდენ, როგორც კერძო და სახელმწიფოებრივ ინტერესთა კოლიზიას და რა თქმა უნდა უკანასკნელს მიანიჭებენ გამარჯვებას. ამ მხრით ისინი, რასაკვირველია, მართალი იქნებიან, არსებულ კანონის ნიადაგზე მდგომნი, მაგრამ საქმე ისაა რათ მოითხოვს სახელმწიფოებრივი ინტერესი, რომ უეჭველათ ქართველ გლეხებით დასახლებული ადგილი ქართლის შუაგული შეიძინოს და არა სხვა ადგილი? განა ცოტაა ჩვენში სახაზინო და სხვა მიწები, თუ კი აქ მარტო სამხედრო უწყების საჭიროება იქნება მიღებული მხედველობაში. მაგრამ, ვინ არ იცის, რომ ეს მომიზეზებაა, თითქოს სხვა საშვალებანი არ კმაროდეს იმისთვის, რომ ტერიტორია ხელიდან გამოგვაცალონ, თით-

# დღიური

— ალბანეთში ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის ემისარები ხალხის ასაჯანყებლათ აგიტაციას სწევენ.

— პრუსიის ლანტაგი გაიხსნა და სეფე სიტყვა ბეტმან-გოლვეგმა წარმოსთქვა.

— პეტერბურგში ხმა გავრცელდა—კასო სამსახურს თავს ანებებსო.

— კიევში უკრაინელთა კლუბის დარბაზში უკრაინელთა დროშებს მთავრობამ კონფისკაცია უყო.

— სახალხო განათლების მინისტრი კასო საზღვარგარეთ მიდის.

— ბულგარეთში სოც·ალისტები კრებებს მართვენ და ამნისტიას თხოულობენ.

ქოს სამიწსიმოქმედო სახელმწიფო ქონებათა მართველობა ვერ ემსახურებოდეს ჩვენში მიწების შეძენისა და ზედ შიდა გუბერნიებიდან გადმოსულთა დასახლების საქმეს, თითქოს საგლეხო ბანკი ვერ ასრულებდეს ჩვენში თავის სახელო დანიშნულებას ყველა ამ უწყებათა და დაწესებულებათა. მოღვაწეობა. საკმარისი არ ყოფილა და ახლა სამხედრო უწყებაც შეუდგა ჩვენი ტერიტორიის აჭრელებს. ყველა თავის საქმეს აკეთებს ჩვენი გლეხის დაქცევით და ჩვენი ეროვნული მთლიანობის დარღვევით ყველას სურს თვისი ბედნიერება ჩვენი გლეხის უბედურობასა და გაპოვანოებაზე ააგოს. არავინ კითხულობს იმას, თუ რა მოელის, სად წავიდეს სად მონახოს ახალი ბინა, სად იწყოს ახალი მოსახლეობა იმ შვიდასმა გლეხმა, რომელიც ტირიფონის ველიდან უნდა აიყაროს. სატახტო გაზეთებში დიდი აურზაური ატყდა იმის გამო, რომ საგლეხო ბაკმა ერთ ერთ შიდა გუბერნიაში თავის ბინიდან აყარა სწორედ ამდენივე გლეხი, რამდენიც ახლა ქართლის შუა გულიდგან უნდა აიყაროს. ამ საქმემ მთელი რუსეთის პრესა დააინტერესა.

გავლენიანი გაზეთები მთავრობისაგან მოითხოვდენ ამ ხსენებულ გლეხებს ყურადღება მიქცეოდა ჩვენების გულისთვის კი ვინ შეიწუხებს თავს, და ან კადეც რი შეიწუხოს, ვინ რას გაუგონებს ყოველ შემთხვევაში ჩვენმა დეპუტატმა ამ გლეხების უბედურებას ცხოველის ყურადღებით უნდა მოექცეს და თუ ეს შესაძლებელი იქნება, შეკითხვაც შეიტანოს სათათბიროში გავაგებინოთ მაინც ქვეყანას ეს უბედურება.

# ახალი ამბავი.

ამ ჟამათ ქუთაისში თითქმის ყოველს—ან შაბათსა და ან კვირას იაფფასიანი წარმოდგენები იმართება. რა ხარისხისაა ეს წარმოდგენები ამას რეცენზიებიდანაც დაინახავდა მკითხველი. ამ წარმოდგენებს გარდა ღირსებისა ერთი ჭირიც დასჩემდა. მაკლერები გაჩნდენ, წინდაწინ ბლომათ ყიდულობენ ბილეთებს და რაკი, იციან, რომ ხალხი ეტანება ამ წარმოდგენებს მერე ეს მაკლერები ყიდიან ზედმეტ ფასათ და სარგებლობენ უსამართლოდ.

✦ ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილება 7 იანვრიდან შეუდგება საქმეების გარჩევას, ხოლო სამოქალაქო საქმეებისას დღეიდან.

✦ მაღლაკის, ქვიტირისა და ფარცხანაყანევის საზოგადოებათ მოწოდება დაურიგდათ სარწყავი წყლის გამოყვანის შესახებ. ეს დიდი საზოგადო, სასარგებლო საქმეა და ხსენებული საზოგადოების ყოველი წევრი გულმოდგინეთ უნდა მოეკიდოს მას და არ გამოაკლდეს იმ ყრილობას, რომელიც ამ მოკლე ხანში მოხდებაო, როგორც იუწყება მოწოდება.

✦ დღეს იხსნება ქუთაისში მესამე ნატარიუსის ვასილ კოკოჩაშვილის კანტორა გიმნაზიის ქუჩაზე კირაკოზოვის შენობაში.

✦ სიამოვნებით ასანიშნავია ის მოვლენა, რომ მიცვალებულის ცხედარზე გვირგვინების მიტანის ნაცვლად თანდათან უფრო სასარგებლოსა და სამართლიანს შესაწირავს აგდენენ ჭირისუფალნი, თუ ახლობელნი. ამასწინათ გადაცვლილი ფარმაცევტის ჩოჩახიძის სახელის სახსოვრათ მის ნაცნობ-თანამოსამსახურეთ ერთი თუმანი და 19 შაური შესწირეს წ. კ. ს. ქუთაისის, განყოფილებას.

✦ ახალწლის ღამემ საკრებულოს დარბაზში მანცა და მაინც ბევრ ხალხს ვერ მოუყარა თავი. უფერული „შარკები" იყო. 12 საათზე საკრებულოს დარბაზი დაამწყლეს, დაკრა ზარმა თორმეტი, გათენდა ახალი წელი და სტუმართ შამპანურითა და ტკბილეულით გაუმასპინძლდენ, ცეკვამ და ვახშამმა განთიადამდი გასტანა.

✦ იმერეთის ეპარქიის სასულიეროების კრება დანიშნულია 28 იანვარს. ყოველი საბლაღოჩინო ოლქიდან მოწვეულია 2-4 დეპუტატი. სიას გასარჩევი საგნებისას თავის დროზე ვაუწყებთ ჩვენს მკითხველებს.

✦ რედაქციამ მიიღო ნაკადულის უკანასკნელი, დეკემბრის ნუმერი მცირე წლოვანთა და მოზდილთათვის და თანაც ამ ჟურნალის ხელის მომწერთა საჩუქარი:——„ბიძია თომას ქოხი"—ბიჩერ სტოუს რომანი, ა. მ. კლიმიაშვილის მიერ ნათარგმნი. საჩუქრის წიგნი საუცხოვოთ არის გამოცემული და დასურათებული.

✦ რედაქციამ მიიღო ლვდ. მელიტ. კელენჯერიძის მიერ შედგენილი: გაბრიელ, ეპისკ. იმერეთისა. მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა. ტომი პირველი წიგნი შეიცავს 320 გვ. და ღირს მ·ნეთად.

✦ საქართველოს ეგზარხოსს აღუძრავს შუამდგომლობა, რომ მცხეთის ტაძრის განახლების დასამთავრებლათ, უმაღლესმა მთავრობამ ასი ათასი მანეთი გადასდვას.

✦ პოლიტეხნიკუმის ნავთლუღში დაფუძნების საქმეში ქალ. ბაქომ დიდი როლი ითამაშა: ქალაქი ნახევარ მილიონს დაპირდა და ბაქოელი ნავთის მწარმოებელნიც ოთხას ათასს, იმ უეჭველი მოთხ·ვნით, რომ პოლიტექნიკუმი ნავთლუღში აშენებულიყო. დღეს, რაკი ეს საქმე გადაწყდა, სხვათა შორის, მათი სურვილისა მებრაც—ქალაქმაცა და ნავთის მწარმობელთაც პირი იბრუნეს, როგორც „ზაკ. რ." სწერს, და თავის შეპირებას აღარ ასრულებენო. ქალაქს ორი წლის ასიათასი მან. ერთად უნდა შემოეტანა და სახსარის უქონლობის გამო, ვერ შემოაქვსო და არც ნავთის მწარმოებლებს შეაქვთ ფული, როგორც შეპირებას იყვნენო,

✦ ბათომიდან სიმ. ლოლობერიძის გადაცვალების გამო შალვა დადიანისაგან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „ვგლოვობ და ვტირი საყვარელ ბიძიას, ჩინებულ ისტორიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს ერთ უკანასკნელ მოგიკანთაგანს.

✦ ლაიფციკის (გერმანია) უნივერსიტეტის მოწაფეს ტიტე მარგველაშვილს ეგზამენი ჩაუბერებია და ფილოსოფიის დოკტორის ხარისხი მიუღია.

# დღიური.

## 19.

### ჩამაფიქრებელი მოულოდნელობა.

მთელი ასი წელიწადია, რაც ქართველობა უწყალოთ ითელება და მისი უფლება თანდათანობით ქრება. საუკუნეზე მეტია, რაც მოსული ელემენტები მოურიდებლათ ეპოტინებიან ჩვენს მიწაწყალს, სიმდიდრეს, ტაძრებსა და სხვ.

მთელი საუკუნეა, რაც ჩვენს ოჯახს, სულს, ენას, ზნე-ჩვეულებას სდევნიან და რყვნიან და მთელ ამ საუკუნის განმავლობაში ქართველობას შეგნებული, ერთსულოვანი წინააღმდეგობა არ გაუწევია ამ ვანდალიზმისათვის.

თვით შეგნებული, მოაზროვნე ქართველობაც კი მრავალ ჯგუფებათ იყო დაყოფილი და მისი უმეტესობა ფეხქვეშ ეგებოდა მტრებს, კალთებს ულოკავდა მას. მათ გაყიდეს საქართველო და ქართველობა თფილსა და გარყვნილს, ფუფუნებით სავსე ცხოვრებაზე და ამ საფასურით სავსებით დაკმაყოფილდენ.

ორმა მოვლენამ ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებულათ აალაპარაკა ჩვენი პრესა და საზოგადოება. ორივე ერთისა და იმავე ხასიათისაა და ორსავე მოვლენას ერთნაირი შედეგი მოჰყვა.

შედეგი, რომელსაც ასე შეეჩვია ქართველი საზოგადოების უმეტესი ნაწილი: ჩვენი ინტერესები ფეხქვეშ გათელეს, ჩვენს სინიდისიერ მოპყრობას, გულგაშლილობასა და თავაზიანობას საშინლათ დასცინეს და ჭკუწრფელ აშფოთებაზე უმნიშვნელოთ ხელი ჩაიქნიეს: „იყეფეთ, თქვენი არავის ეშინია, ძალა ჩვენს ხელთ არის"-ო.

ამას წინათ მომხდარი სამუნიციპალო არჩევნების ირგვლივ ატეხილი ჩოჩქოლი ჯერ არ მიყნარებულა, ჩვენ კარგათ გვახსოვს თფილისის საქალაქო თვითმართველობის არჩევნები, როცა სომხობამ პირი შეკრა და ყველა ქართველი კანდიდატი გააშავა, ქალაქის მართვა გამგეობა, მთელი მისი ავ-კარგი თვით ჩაიგდო ხელთ და შეგნებულ ქართველთა აშფოთებას არავითარი ანგარიში არ გაუწია.

კახეთის დედა ქალაქს დაეპატრონენ და ის სოლიდარობა, მეზობლური სიყვარული, რომელიც მუდამ ენაზე აკერია სომხების მოღვაწეთ და სომხურ პრესას, საქმით ასეთი დევნით და ქართველთადმი სიძულვილით დაგვირგვინდა.

ამას შემდეგ მაინც ვფიქრობდით, რომ ჩვენი ესოდენი აშფოთება იმოქმედებდა მათზე და მომავალში აღარ გაიმეორებდენ ასეთ დევნას, რომელიც აშკარათ შუღლსა და მტრობას სთესს.

არ გასულა ცოტა ხანი, ნატკენი გული სავსებით არ დაშუშებულა, რომ ახალმა ამ სახისავე მოვლენამ იჩინა თავი.

მე მოგახსენებთ პოლიტეხნიკუმის შესახებ. თუ საკითხს სამართლიანათ მივუდგებით და ობიექტიურათ გავსინჯავთ, დავინახავთ, რომ თვიშივე ქართველ საზოგადოებას და მის უმეტესობას მაინც აინტერესებდა არა ჟინიანობა, არა სომხების იმედების გაცრუება ნავთლუღის შესახებ, არამედ თვითონ პოლიტეხნიკუმის ბედი, რა·გან ნავთლუღის ჰავა და მისი მდებარეობა ბევრათ დაბლა იდგა საბურთალოსაზე. ყველა ეს ნათელყო კომისიის გამოკვლევამ. მაშასადამე, თუ სომხებს აინტერესებდა საქმე და არა ქართველებზე გაბატონების, მათი დევნის წყურვილი, ისიც სიამოვნებით უნდა დათანხმებოდა ამ აზრს და ხელი შეეწყო საბურთალოზე პოლიტეხნიკუმის აგების საქმისთვის.

მაგრამ სომხობამ და მისმა პრესამ იმ თავითვე საქმეს სხვა თვალით შეხედა და ეროვნული დროშის ქვეშ მიიწვია ფულით ძლიერი და ზნეობრივათ კოტრი სომხის ბურჟუაზია. სოლოლაკის მეფენი:—„არიქა, ქართველობამ არ წაგვართვას პოლიტეხნიკუმიო; თუ იგი ქართველი საზოგადოების სიახლოვეს აიგო, დაკარგული იქნება"-ო.

სომხის ბურჟუაზიის შოვინისტურმა მიდრეკილებამ საუკეთესო წყარო იპოვა თვის ძალთა სადემონსტრაციოთ და ამრიგათ სომხობა ქართველობას დაუპირდაპირდა და ბრძოლა გამოუცხადა.

სომხობა, რომელიც უხვ შემოწირულობას პირდებოდა პოლიტეხნიკუმს, განზე გადგა და ყოველგვარ შეწირულობაზე და დახმარებაზე უარი განაცხადა იმ შემთხვევაში თუ პოლიტეხნიკუმი ქართველების უბანში აშენდებოდა.

ყველა მაინც დარწმუნებული იყო, რომ ეს ოინები არ გავიდოდა და საკითხი იმ სახით გადაწყდებოდა, როგორც ამას თვითონ პოლიტეხნიკუმის მომავალი მოითხოვდა. მაგრამ ბედი უკუღმა დატრიალდა...

და ამ დროს სომხური გაზეთი „მშაკი" უსირცხვილოთ, გაუწითლებლათ სწერს: განა სულ ერთი არ არის საცა აშენდება პოლიტეხნიკუმი? რა აქვს ამ საკითხს საერთო ეროვნულ დამოკიდებულება-განწყობილებასთან, ან რათ გადააქციეს ქართველებმა ეს კითხვა ეროვნული ხასიათისათო.

აი, აშკარა დაცინვა და გაქელვა. აქაც იგივ მოტყუების წყურვილი გამოსჭვივის: საკითხი უკვე მათ სასარგებლოთ გადაწყდა და ახლა ამბობენ: მოდი ერთი ქართველობას თავზე ხელი მოუსვათ, რა გვენაღვლება, ეგებ ახლაც მოტყუვდენ, რომ მომავალში უფრო ადვილათ გავუსწორროთ ანგარიშიო. აშკარაა, სოლოლაკელნი ამ შემთხვევაში შეცდენ, რადგან დღეს ქართველობა ისეთი გულუბრყვილო აღარ არის, როგორიც აქამდი ყოფილა.

ჩვენ არ გვინდა, ცხადია, ეს ორი ერი მტრულის თვალით უცქეროდენ ერთიმეორეს და სდევნიდენ; პირიქით ჩვენ მუდამ იმის მოწადინე ვყავით, რომ ყოველ ერს შორის სიყვარულის გრძნობა და ძმური კავშირი განმტკიცებულიყო.

მოიგონეთ საერთო ამბოხების ხანებში სომეხ-თათართა შეტაკება და ჟლეტა. განა ქართველობა მათ შუაში არ ჩადგა? განა ქართველობამ მთელი ძალღონე არ შეალია იმას, რომ როგორმე შური მოესპო და მათ შორის მშვიდობა ჩამოეგდო?

განა ქართველობამ ცოტა სხვერპლი შესწირა ამ საქმეს?

დაავიწყდათ სომხებს ეს გუშინდელი ამბავი. და ჩვენც მარტო ამას მოვითხოვთ: კეთილისთვის ნუ მოგვიგებთ ბოროტათ, სტუმართმოყვარეობისა, მფარველობისა და გულგაშლილობის სანაცვლოთ შურითა და დევნით ნუ გვიპასუხებთ. სომხის მოწინავე საზოგადოებამ, მისმა პროგრესიულმა ნაწილმა უნდა ანგარიში გაუწიოს ამ მოვლენას და სომხის ბურჟუაზიას პასუხი მოსთხოვოს.

მაგრამ... ვაი, რომ მარტო სიტყვით გვესმის ასეთი თანაგრძნობა და საქმით კი ჯერ არა გვინახავს რა.

ქართველ საზოგადოებას უნდა კარგათ ახსოვდეს, რომ სომხის ბურჟუაზიასთან მას სამართლიანობა და ზნეობრივი საზომი არ გამოადგება. პატივისცემასა და გატანა-დაფასებას მხოლოდ მაშინ მოვესწრებით, როცა ჩვენშიც რაიმე რეალურ ფასეულობას და ძალას დაინახავენ, ერთსულოვან პროტესტსა და აშფოთებას შეამჩნევ. დღეს კი...

კოდალა.

## სრულიად რუსეთის სახალხო მასწავლებელთა კრება.

### (საკუთარი კორესპონდენტისაგან.)

### წერილი პირველი

პეტერბურგის სახალხო მასწავლებელთა კრებას რუსეთის ყოველი კუთხიდან აუარებელი მასწავლებელი მოაწყდა. საერთო რიცხვი მათი 7 ათასამდი ადის. ერთი ამდენი იძულებული გახდა კრებაზე დასწრების სურვილზე ხელი აეღო, რადგან საორგანიზაციო კომიტეტმა, უადგილობის გამო, კრებაზე დამსწრეთა რიცხვი წინდაწინ განსაზღვრა. ბაქოდან 17 დეკემბერს ორი ვაგონით გავემგზავრეთ 70 მასწავლებლამდი, რომელთა შორის თითქმის ყველა ერის წარმომადგენელს შეხვდებოდით. გზა, მიუხედავათ მრავალ დაბრკოლებათა და შევიწროებათა, საერთოდ მხიარულათ განვლეთ. პეტერბურგში 22 დეკემბერს საღამოთი ჩავედით. გზა და გზა რუსეთელი კოლეგები შემოგვიერთდენ.

საორგანიზაციო კომიტეტს ყველაფერში იდეალური წესრიგი აქვს დამყარებული. ყველა მსურველთაგანს ქალაქის სხვადასხვა კუთხეში საერთო ბინები მიუჩინეს. 22 დეკემბერს, საღამოს, სახალხო სახლში ჩამოსული მასწავლებელნი „დემონზე" მიიწვიეს და საუზმე გაუმართეს. აქ აუარებელ მასწავლებელთა მასაში ჩვენებს ამაოთ დავეძებ. ვხვდები ნაცნობ სომხის მასწავლებელს და ჩვენთვის საარსო, საერთოდ მწვავე საკითხებზე თანხმურ მოქმედებაზე ვლაპარაკობთ. კრების არსებობა, როგორც თანდათან ირკვევა, მთავრობას აინუნში არ მოდის და დამსწრეთა შორის უიმედობა და შიში მეფობს, რომ საინტერესო და სასარგებლო მუშაობას ადრე შეაწყვეტინებენ.

სახალხო სახლში ბევრ ჟურნალისტსა და საზოგადოთ პეტერბურგის პროგრესიულ ინტელიგენციას მოუყრია თავი. ე ჩვენებურ მასწავლებელთან ვლაპარაკობ. გვიახლოვდება ვიღაც დარბაისელი ქალი და ქართულ საუბარს რო ყურს მოკრავს, კითხვით მოგვმართავს, თუ რამდენი ვართ კავკასიიდან და განსაკუთრებით საქართველოდან.

ჩვენი მობაასე აღმოჩნდა რუსული გაზეთის „რანეე უტროს" თანამშრომელი ვ. ი. მისენკოს ქალი, რომელსაც საქართველოში დიდხანს უცხოვრია და კარგათაც იცნობს. გამოგვკითხა, რა სურვილითა და განზრახვით ვართ კრებაზე და რა იმედებს ვამყარებთ მასზე. დაინტერესდა საქართველოს ამბებით და, სხვათაშორის გამოიკითხა ჩვენი ჟურნალ-გაზეთების მდგომარეობა, მოიგონა „მოამბე" და „ცნობის ფურცელი"-ც. იკითხა ლასხიშვილი, ზდანოვიჩი, იაზონ ბაქრაძე და სხვანი.

მასწავლებელთა კრება 6 სექციათ და სამ კომისიათ იყოფა. „ინოროდცების" საშკოლო საკითხები ერთ-ერთ კერძო კომისიას აქვს მინდობილი. მაინტერესებდა ამ კომისიის შემადგენლობა და იქ წასაკითხათ მოსული მოხსენებანი. მისენკოს ქალი გამაცნობს საორგანიზაციო კომიტეტის წევრს, რომლისგანაც ვტყობილობთ საქმის მდგომარეობას. ქართველებისაგან ორი მოხსენება წარმოდგენილი: ვ. ბურჯანაძისა და ყაზახიშვილის ქალისა. სხვა ... მასწავლებელთა ... მოხსენება ... კომისიას დასმული, მეორე იმიტომ, რომ ჯერ მოხსენება არ წარმოუდგენია. მე ვთხოვე ჩემთვის საქართველოში სახალხო განათლების შესახებ მოხსენების წაკითხვის ნება მოეცათ, რის თავის დროზე წარმოდგენა ვეღარ მოვასწარი. დამპირდენ დახმარებას. შემდეგ იმავე პატიოსანი მანდილოსნის დახმარებით კომიტეტის წევრს დუშეჩკინსაც ამგვარივე თხოვნით მივმართე. დუშეჩკინმა ამ საგანზე მოხსენების წაკითხვა საყურადღებოთ ჩათვალა, ხოლო შიში გამოთქვა, რომ აწი ძნელი მოსახერხებელი იქნება, რადგან მოხსენების ტეზისები ქალაქის უფროს უნდა წარედგინოს. მთავრობა კი განსაკუთრებით ალმაცერათ უყურებს „ინოროდცების" კომისიას. ბ-ნმა მისენკოს ქალმა მირჩია საორგ. კომ წევრს სახელ. სათათბიროს დეპუტატს პეპელიაევს მივმართო ამავე თხოვნით.

საზოგადოების ყურადღება კრებისაკენაა მიქცეული. სატახტო გაზეთების მთელი ნუმრები ამ საგანზე ცხარე და აგზნებული წერილებით არის სავსე.

ვიდრე სახალხო მასწავლებელთა კრება გაიხსნებოდა, ყაზანის საკათედრო ტაძარში გადახდილ იქნა მოლეინა. მოლეინას დაესწრო მინისტრები: კოკოვცევი, მაკლაკოვი, კასო, ტიმაშევი და უმაღლესი მთავრობის სხვა წარმომადგენელნი. მოლეინას შემდეგ მასწავლებელთა აუარებელი გუნდი გაემართა სახალხო სახლისაკენ, სადაც $2^1/_2$ საათზე პეტერბურგის წ. კ. საზოგადოების თავჯდომარემ სენატორმა მამანტოვმა გახსნა კრება. კრების გახსნას დაესწრო გან. სახ. მინისტრის ამხანაგები ტაუბე და ზალატარევი, დეპარტამენტის დირექტორი ვილიევი და ვიცე-დირექტორი კორონცკოვსკი, ვაჭრობის მინისტრის ამხანაგი კონოვალევი და გზათა მინისტრი ამხანაგი დიმიტრაშკო იყვენ აგრეთვე სახელმწიფო სათათბიროს წევრნი, ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელნი და სხვანი.

მამონტოვისა და ორგანიზაციული ბიუროს თავჯდომარის ამხანაგის დუშეჩკინის სიტყვებს შემდეგ მრავალი დეპეშებ შორის წაკითხულ იქნა მხოლოდ სამი: კოკოვცევის, ტიმაშევის და სახალხო განათლების კომისიის თავჯდომარის ე. კოვალევსკის.

შემდეგ მოხდა პრეზიდიუმის არჩევნები, „სიეზდის" თავჯდომარეთ არჩეულ იქნა სენატორი მამანტოვი, მისი ამხანაგებათ დუშეჩკინი, ვახტეროვი, კოვალევსკი და კლიუჟევი. სექციების თავჯდომარეთ აირჩიეს: შკოლათა ორგანიზაციის სექციისა—გურევიჩი, სწავლისა და განათლების ზოგადი საკითხთა სექციისა—დუშეჩკინი, სახალხო მასწავლებელთა მომზადების საკითხთა სექციის—იანსონი, სამკურნალო პედაგოგიურ საკითხთა სექცია—ექიმი ბეკარიუგოვი, სწავლების წესებისა და მეთოდების სექციის—გერდი, „ინოროდცების" შკოლების სექციის—ტუმიმი და სხვანი.

პრეზიდიუმის არჩევნებს მოყვა მილოცვები. პირველათ მიესალმენ ქალაქის წარმომადგენელნი: პოტეხინი, კალუგინი და გრიგორევი. მეტათ სასიამოვნო მოსასმენი, იყო მხცოვან ქალაქის წარმომადგენელთა ჭაბუკური აფრთოვანებით სავსე სიტყვები. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ღრმა მოხუცის გრიგორევის სიტყვამ, რომელიც შეეხო მასწავლებლის დიად სამსახურსა და დანიშნულებას მის მეტათ უმწეო მდგომარეობას. თავჯდომარემ ორატორი შეაჩერა და მისი ადგილი მოსკოვის წ. კ. საზოგადოების დელეგატმა ვახტეროვმა დაიჭირა. ვახტეროვს მასწავლებელნი მხურვალე ოვაციით შეეგებენ. „სიეზდის" წინაშე წარსდგენ დელეგატები: ხარკოვის წ. კ. საზოგადოებისა, პეტერბურგი მასწავლებელთან სახლის მომწყობი კომიტეტისა, ლესგაფტის კურსებისა, პეტერბურგის სახალხო უნივერსიტეტისა, მეცნიერულ ცოდნათა გამავრცელებული საზოგადოებისა, სრულიად რუსეთის ლიტერატურული საზოგადოების საბჭოსი, პეტერბურგის მედიკურ საზოგადოებისაგან, პუშკინის სახელობის „სიეზდის" ორგანიზაციული კომიტეტისაგან, პეტერ-

**გაზ. „ერზე“ 1913 წლ. ხელის მომწერთ, ვინც დასაგვეთი ფული დროით არ წარმოადგინა, გაზეთის გზავნა 1914 წლის პირველი იანვრიდანვე მოესპობათ.**

# რისთვის?.. რათა?..

შენ წახველი და ჩემ ჯანტვათ არ დასტოვე შემდეგ კვალი,
რო იმ კვალზე მაინც შედკრულს ამედგინა მომავალი.

—

რამდენიც აქვს ცას ვარსკლავი, ზღვას წვეთი და მზეს სხივები,
რამდენიც აქვს დედამიწას ფოთლები და ყვავილები—
უფრო მეტჯერ ვკნესი მარტო, უფრო მეტჯერ ვაფრქვევ ცრემლსა
და შენს სახელს ვეუბნები ლოცვას წრფელსა... ლოცვას წრფელსა,..

—

რა წამს ფშატი მოფენს სურნელს და საფლავებს, მარად ობლებს,
გაზაფხულის ბრწყინვალე მზე აამწვანებს, გაალოცხლებს—
ვდგევარ მარტო იმ არყის ქვეშ, სადაც გამითანაგძნობლე,
სადაც სიტყვა შემომფიცე და სადაცვე დამაობლე.
ვდგევარ მარტო და ვქვითინობ, ვით საფლავზე გლოვის ხმითა:
რათ დავშორდით საუკუნოთ?.. რათ დავშორდით?.. რისთვის?.. რათა?..

ი. მჭედლიშვილი.

თფილისი:

# სად არის მარქვით ახალი წელი?

სად არის, მარქვით ახალი წელი, რომ გაიძახით ყველგან ყოველი?
რა აქვს ახლის მას და რა ეტყობა? ისეთივეა, ვით იყო ძველი!

—

აჰა! კვლავ ტანჯვა! აჰა! კვლავ ძარცვა! ჰა! შური-მტრობა დაუზოგველი,
აჰა! იუდა სიმართლის მტერი! აჰა! თილისმა ფარისეველი!

—

აჰა! რუები სისხლის და ცრემლის! აჰა! მკვნესარნი აურიცხველი!
რამდენი უნდა მოგიყვეთ კიდევ? სად არის, მარქვით ახალი წელი?

—

ახალი წელი მაშინ მოგვივა და ახალი დღე გასახარელი,
როს მოისპობა უსამართლობა, როს მოისპობა კერპობა ძველი!

—

და იმათ ნაცვლად ძმობა-ერთობა დაგვიმყარდება შეურყეველი,
რის გულისთვისაც ჯვარზე გააკრეს იესო ქრისტე ნაზარეველი...

ვინმე დეხლი.

---

ბურგის პედაგოგიურ საზოგადოებისაგან, ალკოგოლიზმის წინააღმდეგ მებრძოლ რუსეთის საზოგადოებისაგან, რუსეთის საიმპერატორო ტეხნიკურ საზოგადოებისგან, ექსპერიმენტალურ პედაგოგიკის საზოგადოებისგან და სხვა მრავალი საზოგადოებათაგან. სამწუხაროთ ჩვენმა წ. კ. საზოგადოებამ ვერ მოახერხა თავისი წარმომადგენელი ყოლოდა კრებაზე, რომლის მხრითაც მისალმება სასურველი იყო და ურიგო არ იქნებოდა...

სალამოთი დაიწყო სექციების მუშაობა. „ინოროდცების“ შკოლათა სექციის სხდომები წარმოებს ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში. ყველა სექციაში მასწავლებელთათვის დიდათ საყურადღებო საკითხები ირჩევა, სადაც თავის მოხსენებებს კითხულობენ რუსეთის გამოჩენილი პედაგოგები და აქვე სახალხო მასწავლებელნი თავის აზრსა და შეხედულებას გამოთქვამენ. კაცს გინდა ყველგან დაესწრო და ყველას მოუსმინო, მაგრამ ეს ფიზიკურათ შეუძლებელია. „ინოროდცების“ უმეტესობა თავს ვალდებულათ სთვლის ჩვენთვის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხთა გამხილველ კომისიაში ჩაეწეროს.

ტეხნოლოგიური ინსტიტუტის აუდიტორია ხალხითაა სავსე. აქ შეხვდებით ქართველებს, სომხებს, თათრებს ებრაელებს, კალმიკებს, მოლდაველებსა და სხვა მცირე ერთა წარმომადგენლებს. მაგრამ ყველაზე ბლომათ უკრაინელები არიან.

ინოროდცების სექციის თავჯდომარეთ, როგორც ვსთქვით, საზოგადო კრებამ ტუმიში აირჩია. მის ამხანაგებათ სექციამ აირჩია სახელმწ. სათათ. წევრნი პეპელიაევი, მუსულმანთა ფრაქციის თავჯდომარე ენიკეევი და ქ-ნი რუსოვისა.

სექციას თავჯდომარის შემდეგ მიესალმენ ციმბირის ინოროდცების სახელით სახ. სათ. წევრი პეპელიაევი და სახელმწ. სათ მუსულმანთა ფრაქციის სახელით ენიკეევი. ლამაზი და მოხდენილი სიტყვა წარმოსთქვა დუბსარკიმ, რომელმაც ცხარე კრიტიკა გაუკეთა არსებულ სწავლების უკულმართ წესებს განსაკუთრებით „ინოროდცების“ შკოლებში.

24 დეკემბრისთვის დანიშნულია უკრაინელ მასწავლებელთა მოხსენებანი.

ფერი.

## „ერის“ რედაქციას.

(წერილი დონდოხიდან)

ჩვენ მიზნათა გვაქვს დავეხმაროთ ჩვენებურ მევენახეთ შაბიაბანის შეძენის საქმეში. დღემდი ეს საქმე ორი-სამი ვაჭრის ხელში იყო; მათ შემოქონდათ ეს საქონელი. მისი გაყიდვა საკუთარ მონოპოლიად გახადეს და მას ისეთ ფასებს სდებდენ, რაც სურდათ.

მაშინ, როდესაც შაბიაბანი ბათომში ჩამოტანით მათ უჯდებოდათ ფუთი 3 მ. 10 შ.—3 მ. 13 შ. ისინი მას სეზონის დასაწყისში 5 მან. ყიდიდენ და შემდეგ, როდესაც ამ საქონლის შემოტანა ჩვენში შეუძლებელია,—ვინაიდან ინგლისელი და გერმანელი ფირმები შაბიაბანის მხოლოდ წინ და წინვე შეკვეთილი რაოდენობით ამზადებენ,—ეს ფასი 8 მანეთამდი აყავდათ ხოლმე. აქედან დაინახავთ, თუ რა—ძალი ფული გადადის სრულიად უსარგებლოთ ჩვენი ქვეყნისათვის უცხო ვაჭართა ჯიბეში არ დაივიწყოთ, რომ ქართველი ვაჭრები, ვინც კი ჰყიდიან შაბიაბანს, სრულიად დამოკიდებული არიან ამ „მონოპოლისტებისგან.“

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ მიერ მევენახეთათვის მოცემულ წინადადებას მხარს დაუჭერთ და ამ ეროვნულ საქმეს საკმაო პროპაგანდს გაუწევთ. ამისთვის—კი საჭიროა, რომ დღეიდან სეზონის დაწყებამდი ჩვენი მოწოდება—მოხსენება იბეჭდებოდეს თქვენს ჟურნალში ორჯერ მაინც კვირაში. ამით ჩვენს მევენახეთ ორას ათას მანეთამდი შევარჩენთ, რაიცა ძლიერ დიდ შეღავათს შეიტანს ჩვენს დაღარიბებულ ხალხში. დღეს ეს ფული —კი უცხოელთა ჯიბეში გადადის, ამასთანავე გთხოვთ მიიღოთ სახეში, რომ ამ საქმიდან ჩვენ არავითარ მოგებას არ გამოველით. მყიდველთ შაბიაბანი ჩაბარდებათ ფაბრიკის ფასში ე. ი. იგი გადაიხდის იმის ნახევარს, რასაც დღეს იგი აძლევს ამ საქონლით მოვაჭრეთ. თქვენი მხრით შემოიტანეთ ამ საქმის მოწყობაში თქვენი წილი. გაავრცელეთ მევენახეთა შორის ჩვენ მიერ მოცემული წინადადება თქვენი ჟურნალის საშუალებით.

განა სირცხვილი არ არის, რომ ჩვენში შეუძლებელი იყოს ადამიანთა შეერთება ჩვენი ქვეყნისათვის ფრიად სასარგებლო საქმეში? ნუ თუ საჭიროა, რომ გადამთიელნი გამდიდრნენ ჩვენი ხალხის სიღარიბით და დაუდევრობით?

დავშთებით თქვენი პატივისმცემელნი.

დავით დამბაშიძე და ამხ.

## რუსეთი

**აკრძალვა.** კიევის ბოქაულის განკარგულებით უკრაინელთა კლუბის დარბაზში 12 ნაციონალური დროშა ჩამოხსნეს, კლუბის მამასახლისს ოქმი შეუდგინეს და სამართალში მისცეს. უკრაინულ სახალხო სიმღერების კონცერტი ჯერ აკრძალეს, შემდეგ ნება დართეს, ხოლო იმ პირობით თუ აფიშაზე უკრაინულ სახალხო კონცერტის ნაცვლათ, უკრაინულ კონცერტს გამოაცხადებენ.

**გლეხთა ბანკები.** რუსეთში გლეხთა ბანკები გლეხების დახმარების საქმეს ვერ ემსახურებიან. გლეხთა ბანკში დაგირავებული მიწა გლეხებს ეყიდებათ. კამენეც-პოდოლის გუბერნიაში გლეხთა ბანკი გლეხების ოცი ათასი დესეტინა მიწას ყიდის, ამ მიწების საჯარო ვაჭრობა მარტშია დაყიშნული. საგლეხო ბანკი ჩერნიგოვის გუბერნიაშიც 15,847 დესეტინა მამულს ყიდის. ეს მამული მხოლოდ გლეხების საკუთრებაა და დაგირავებულია 2,109416 მანეთად.

**ლექციის აკრძალვა.** პოლიციამ კულტურულ საზოგადოებას რიგა[illegible] აუკრძალა მუშათა დაზღვევის შესახებ ორი ლექციის წაკითხვა.

**კრება.** პეტერბურგში გაიხსნა მომხმარებელი საზოგადოების წარმომადგენელთა კრება. კრებას 300 მომხმარებელი საზოგადოების წარმომადგენელი დაესწრო. კრებაში მონაწილეობის მისაღებათ მოწვეული იყვნენ მხოლოდ ოთხ გუბერნიაში არსებული მომხმარებელი საზოგადოებანი.

## უცხოეთი

**ალბანეთის ამბები.** ვალონში ახალგაზდა ოსმალეთა ემისარი ბეკირ ეფენდი დააპატიმრეს. მას აღმოაჩნდა იმის საბუთები, რომ ახალგაზდა ოსმალები ალბანეთში ხალხის აჯანყების მოწყობას აპირებდენ. ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტს აჯანყების მოხდენის პლანი შემუშავებული ქონია. პირველად უნდა გაეჩაღებიათ რევოლუციონური მოძრაობა. მოძრაობას სათავეში იზეტ-პაშა [illegible]უდგებოდა. შემდეგ შეადგენენ ალბანელთაგან რაზმებს და სერბიის ტერიტორიას თავს დაესხმოდენ. არეულობაში მონაწილეობას მიიღებდენ ბალკანეთის სხვა სახელმწიფოებიც. ამით ისარგებლებდა ოსმალეთი, თავს დაესხმოდა საბერძნეთს და თავის მამულს უკანვე დაიბრუნებდა. ამ მიზნით ახალგაზდა ოსმალებს მზადება უკვე დიდი ხნიდან დაუწყიათ.

**გაფიცვა სამხრეთ აფრიკაში.** სამხრეთ-აფრიკაში რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვა რევოლუციონურ ხასიათს იღებს. გაფიცვას გენერალ ბოტის მოქმედება ძალიან ამწვავებს. ბოტამ სიტყვისა და კრების თავისუფლება გააუქმა. ამ მოქმედებამ მოსამსახურეთა ეკონომიურ გაფიცვას პოლიტიკური სახე მისცა. მატარებლების მოძრაობა თითქმის ყველგან შეწყდა. გაფიცულებმა რკინ. გზ. ლიანდაგები აყარეს და დანგრიეს. დააპატიმრეს რამდენიმე გაფიცული მუშა. მოითხოვეს დაპატიმრებულთა განთავისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში საყოველთაო გაფიცვას გამოვაცხადებთო.

## საახალწლო ცრუმორწმუნოება

როგორც ჩვენ, ქართველებს, ისე ყოველ ერს აქვს სხვადასხვა გვარი ცრუმორწმუნოება ახალი წლის მიგებებისა გამო. სასაცილო ამბებს გადმოგვცემენ ამის შესახებ სლავიანური გაზეთები; სხვათა შორის იქ აწერილია, თუ როგორ ეგებებიან ახალ წელს რუსი გალიციელები: ძველი წლის უკანასკნელ დღეს ქალიშვილები აცხობენ ხაჭაპურებს და აძლევენ შესაჭმელათ კატებს; ვის ხაჭაპურსაც კატა შეჭამს ისე რომ ცუცქნასაც არ დატოვს, ის ქალიშვილი მომავალ წელში გათხოვდება: ახალი წლის ღამეს თითოეულ ქოხთან გარეთ სდგას იმდენი ნაკოდალი შეშისა, რამდენი ადამიანიც არის ოჯახში, ქოხში მაგიდაზე კი ამდენივე კოვზი ეწყობა დაყენებულ დანებზე; იმ ღამეს ვისი კოვზი, ან შეშის ნაკოდალიც წაიქცევა, ის მოკვდება წლის განმავლობაში. ღამით დააწყობენ იატაკზე ხახვის თავებს შუა-შუაზე გაჭრილს იმდენს, რამდენიც თვე აქვს წელიწადს და მოაყრიან მარილს; დილას ათვალიერებენ და რომელ მათგანზეც დამდნარა მარილი, აღნიშნული მასზე თვეც იქნება წვიმიანი და ნოტიო. ასხამენ უხმარ ხის ჯამებზე ცხრაკოვზ წყალს და კიდებენ ჭერ ქვეშ; დილას თუ წყალი მოკლებული არ იქნა, იმ წელში ძროხებს კარგი წველა იქნებათ; იმათ სჯერათ, რომ ახალი წლის ღამეს დგება ისეთი წამი, რომლის დროსაც შინაური საქონელი იწყობს ერთმანეთ შორის ადამიანურათ ლაპარაკს იმის შესახებ, თუ როგორ ეპყრობა მათ პატრონი. ღამის 12 საათზე მიაქვთ მდინარეზე პურის ნაჭები და სასმისი (კრუჟკა), უწებენ სამჯერ პურს წყალში და გაიძახიან: „მე ვბანაობ ჯანმთელობაში“; მერე იღებენ წყალს სასმისით და იტყვიან: „მე წყალს კი არ ვიღებ, რძეს, თაფლსა და ღვინოსა“. შინ მოაქვთ ეს წყალი, ასხამენ ჯამზე, ჩაყრიან შიგ წვრილ ფულს და პურის ნამცეცებს და ყველა სათითაოდ იბანს პირსა ამ წყლით; ეს ნიშნავს, რომ მათ არ მოაკლდებათ არც ფული, არც პური და არცა წყალი. თუ საახალწლოთ იწვიმა; ეს მომასწავებელია ჟამის გაჩენისა, თუ ყინვაა—ჯანმთელობისა, თუ თოვაა კარგი მოგებისა.

დადო ბზვანელი.

## ოზურგეთის ამბები.

17 ქრისტეშობისთვის სხდომაზე ქალაქის საბჭო ამტკიცებს მომავალი წლის ხარჯაღრიცხვას:

სავარაუდო შემოსავალი:

უძრავ ქონებათა შეფასებიდან 6868 მ. 89 კ, სავაჭრო მოწმობებიდან 1671 მ. 74 კ. ნოტარიუსიდან ქალაქის სასარგებლოთ 150.—ქალაქის სასწორებიდან 725 მ. იჯარით გაცემულ ქალაქის მამულებიდან 1828 მ. 17 შ. სათადარიგო თანხის სარგებელი 7 მ. 3 აბ. სასაკლაოდან 1444 მ. 4 აბ. ქალაქის აფთექიდან 18250 მ. ქალაქის ამბულატორიიდან 1000 მ. მეეტლეთა ნიშნების გაყიდვით 40 მ. ჯარიმები და შემთხვევით შემოსავალი 600 მ. 32 კ.

ხარჯები:

ქალაქს საქმეთა საგუბერნიო მართველობას 100 მ. 5 შ., ქალაქის თვითმართველობის ხარჯები 5480 მ., სამსახურის გამო ჩამოსულ სამხედრო პირთა ბინის ქირა 150 მ., ქალაქის პოლიციის უწყებას 1310 მ., ქუჩების მოკირწყლვა, განათება, ბაღების მოწესრიგება და სხვ. 4720 მ. ცეცხლის საქრობი მოწყობილობის შეკეთება 100 მ., სასაკლაოს შეკეთება 76 მ., აფთიაქის მოსამსახურეთა ჯამაგირები და სხვ. 12,360 მ., სახალხო განათლებაზე 3320 მ. ქალაქის აქიმის ჯამაგირი, სამკურნალოების შენახვა და სხვ. 1926 მ., სახელმწიფო და საეობო გადასახადები 330 მ., ქალაქის უძრავ ქონებათა მოვლა-პატრონობა 1320 მ., აფთიაქის გახსნაზე აღებული ვალისა და სარგებლის გადახდა 1325 მ., სასამართლოში საქმეთა წარმოება 100 მ. მეეტლეთა ნიშნების შესაძენათ 40 მ.

წინა კრების გავლენის ქვეშ არიან ხმოსნები და დღესაც მწვავე ხასიათს იღებს კამათი ხარჯაღრიცხვის მუხლ-მუხლ განხილვის დროს.

ერთი ხმოსანთაგანი აცხადებს, რომ ამ წლის ზაფხულში ჩვენ გავაუქმეთ ქალაქის მდივნის თანამდებობა და მაშასადამე, მისი ჯამაგირიც ქალაქის კასაში უნდა დარჩენილიყო, მაგრამ გასავლის წიგნში შეუნიშნავს, რომ მდივნის ჯამაგირი მიუღია მოურავის თანაშემწეს, რომელიც ასრულებს ხსენებულ თანამდებობას.

მოურავის თანაშემწე აცხადებს, რომ ის ფული მოურავის განკარგულებით გამოვწერე და მივიღეო. ხმოსნებში უკმაყოფილებას იწვევს ასეთი განცხადება, თითქმის ყველა ხმოსანი ამოწმებს და „ნამიოკებით“, რომ ქალაქის მოურავის „სხვა წყაროდან“ უნდა დაეკმაყოფილებია მისი თანაშემწე და რომელი წყაროდან, ამას არც ერთი არ ასახელებს. ბოლოს უკანონოთ გაცემულათ სცნეს და დაადგინეს, რომ უკანვე დააბრუნდეს თანაშემწის მიერი მიღებული ჯამაგირი. საზოგადოთ რაღაც ბურუსით არის მოცული ეს კითხვა და გარკვევით არავინ არას ამბობს.

ქალაქის თვითმართველობას აქვს საკუთარი საბეჭდავი მანქანა, რომელზედაც თურმე ზოგიერთ [illegible] ქალიშვილებს მოუნდომებიათ [illegible] სწავლა და მბეჭდავი ქალიც ასწავლის, რაც საკვირველია. ასეთი მსგავსი არა ნორმალურათ ჩათვალეს [illegible] დაადგინეს, რომ 15 მ. [illegible] ქალაქის სას[illegible] მსურველს. საბუთად ის მოიყვანეს, რომ ლენტი ხდება და მანქანა ცვთება. არსად და არც ერთი საზოგადო დაწესებულებაში, სადაც კი საბეჭდავი მანქანები აქვთ, არ არსებობს ასეთი გადასახადები, გარდა საბეჭდი ბიუროებისა და იმედია, სხვა ქალაქის თვითმართველობები მაგალითს აიღებენ ჩვენი „მამებისგან“ და შემოსავლის წყაროთ გადააქცევენ საბეჭდ მანქანას.

„ძლიერი გულუხვობა“ გამოიჩინეს თვითმართველობის მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატების დროს: უფროს მწერალს, რომლის კისერზეც ტრიალობს მთელი თვითმართველობის საქმეები და მიწერ-მოწერა, მოუმატეს თვეში მხოლოდ 1 მ. 67 კ. და მეორე მწერალს კი რომელიცუფრო „დაახლოვებით“ უნდა იყოს რომელიმე ხმოსანთან 3 მ. 34 კ.

წინა კრებაზე დაადგინეს, პირადათ დაეთვალიერებიათ თავისუფალი მიწის ნაჭერი, რომელსაც ოზურგეთის ჩაის პლანტაციის მართველი სთხოვდა ქალაქის 10-12 წ. იჯარით. როგორც თვით მართველმა განაცხადა წინა კრებაზე- ეს მიწა ზომით 10 დეს. ყოფილა; აქა და 24 დეს. სახელმწიფო მიწაზე აწყობენ საცდელ მინდორს და სხვადასხვა ნიადაგის გამანოყიერებელი საშუალებით უნდათ სცადონ სიმინდისა და მცენარეთა მოშენება, მაგრამ ერთი ხელის მოსმით უარყოფენ ასეთ წინადადებას, როცა დაგვჭირდება ვეღარ დავიბრუნებთ მიწას მომავალი სამეურნეო სასწავლებლის საჭიროებისთვის და მიწასაც წაგვიხდენენო.. თითქოს არ შეიძლებოდა პირობით შეკვრა. ისიც კი დაავიწყდათ, თუ რა „სარგებლობა“ მოუტანდა სამეურნეო შკოლას უკვე დამუშავებული და ნაცადი ნიადაგი.

ალბათ იმიტომ მოხდა ეს ამბავი, რომ ზოგიერთ ხმოსნებს ჩასთვილმა და მეორე მისმა ამხანაგმა შენიშნა, „ძილისთვის ხომ არ მოსულხარ აქაო.“

გოლდ.

## დაბა-სოფლები.

**ს. წყალტუბო.** თავისი მდებარეობითა და მადნეული, სამკურნალო ცხელი წყლების წყალობით—ეს სოფელი სხვა სოფლებზე მაღლა დგას. მცხოვრებთა რიცხვი 400 კომლზე მეტია. გასული წლის მოუსავლობა განსაცდელში აყენებს სოფელს. გლეხმა თავისი შრომის ფასათ 25 ფუთი მოსავლის მაგიერი 4—5 ფ. მიიღო. ამ გარემოებით ყველა დაღონებულია და ერთმანეთს შესჩივიან: ვინ იქნება ჩვენი მშველელი და ამ განსაცდელიდან გამომხსნელი? ადგილობრივი მოწინავე პირების გლეხებს ნაკლები იმედი აქვთ. მასწავლებელი თავის წარმატებისათვის ზრუნავს, ღვდელი, მართალია, მოამაგეა და ბევრი კეთილის მქნელია, მაგრამ წელს იმასაც უჭირს, მამასახლისმწერალს ხომ ჩვენთვის ვინ მოაცლის. აქ არსებობს ერთკლასიანი შკოლა, რომლის ორკლასიანათ გადაკეთებაც ხალხის დიდიხნის სურვილს შეადგენს, მით უფრო, რომ ეს ვერ აკმაყოფილებს ყველას მოთხოვნილებას. ამის გამო თითქმის მეთერთმეტე განაჩენი დაადგინა საზოგადოებამ, მაგრამ მის დამტკიცებას არა ეშველა. მეთერთმეტე განაჩენის დადგენას შემდეგ, ამ შკოლას მოემატა მეორე მასწავლებელი, მეოთხე განყოფილება და 250 მანეთი გადასახადი, ხალხი ძლიერ კმაყოფილი იყო და შენობის ასაგებათაც მოემზადა, რომ ამ დროს მეოთხე განყოფილება მოიხსნა. მასწავლებლებმა სამი განყოფილება გაინაწილეს და [illegible]ტვირთის შემსუბუქებით გაიხარეს—ხალხი კი კვლავ დაღონებული დარჩა. ხალხსა და მთავრობას შორის ამ საკითხის შესახებ გამოურკვეველი მდგომარეობაა. შვამავალი არვინაა. შკოლის მზრუნველობა კი თავს არ იწუხებს და ყოველივე ამას გულგრილათ უყურებს. ყველა კითხულობს;— ჩვენი მეთერთმეტე განაჩენი, ნეტავ, როდის დამტკიცდებაო...

ვაი, თუ ამ მეთერთმეტე განაჩენის დამამტკიცებლათ მეთორმეტე განაჩენი და-

# საბეჭდი სახლი
# ი. გოკიელის ძმ—ბის
ქუთაისში.

მიღებულია და იყიდება მლიერ ზომიერ ფასებში **სადარბაზო ბარათები** საუკეთესო ხარისხის (Визитныя карточки изъ загран. бристоли).
რუსული კალენდრები. საუკეთესო გამოცემა ოტტო კიხნერის და სიტინის ამხანაგობისა. ქართული კედლის და ჯიბის კალენდრები. ტყავის პორტფელები. (Портфели адвокатскія, документныя и вексельныя).
კალათები ქაღალდის ჩასაყრელი.
27-ნ 31 დეკემ. გაიყიდება წვრილათ ჭურჭელნაირი პრესებში დაკლებულ ფასებში.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.
# ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოთავსება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი ხაოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე ხაფენი „ლინოლეუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მგირფასი ხაოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.


გვჭირდესო... ეს ასეც იქნება, თუ კაცი თაოსანი არვინ გაგვიჩნდა, რომ ჩვენს განჩინებებს ყურადღება მიექცეს.

ლო იძე.

---

**ხაყულის საზოგადოება** (ქვემო იმერეთი) წელს მოუსავლობით დაზარალებულ გლეხკაცობას ერთხელ უჭირს გადასახადის გადები და თუ გადახდილი ფულები დანიშნულებისამებრ არ იქნებოდა გადაცემული, იმას ვინ იფიქრებდა. ადგილობრივ ბოქაულთან ლედლებმა გაასაჩივრეს: მამასახლისი დრამის ფულს არ იძლევა და რამე გვისაშველეო; ბოქაულმა დაიბარა მამასახლისი და წინადადება მისცა დაეკმაყოფილებია ისინი. მამასახლისმა ბოქაულს მოახსენა: რა ვქნა, გლეხებს არავითარი საშველება არ აქვთ, მე დავხარჯე ჩემი საკუთარი ფული სხვადასხვა საზოგადოების საჭიროებისთვის 250 მან. ასეთმა განცხადებამ გამოიწვია ბოქაულის განკარგულება და 20 ქრისტეშობისთვეს მოხდა ყრილობა. ბოქაულმა გაჩხრიკა ფულის წიგნი, მაგრამ მამასახლისს სვანაძეს აღებული ფული ფულის წიგნში არ შეუტანია, კერძო კვიტანციებით აღლო ფულები და გასავალი კი სრულად შეუტანია და აღმოჩდა ვითომ სვანაძეს თავისი გაეხარჯოს 250 მანეთი. მაგრამ როდესაც ჯერი ,,სბორჩიკებზე'' მიდგა, საქმემ სულ სხვა ნაირი სახე მიიღო. ,,სბორჩიკებმა'' ბოქაულს წარუდგინეს მამასახლისის მიერ მიცემული კერძო კვიტანციები. ბოქაულის შეკითხვაზე; მისი გაცემულია თუ არა ეს კვიტანციები და თუ გასცა, რატომ ფულის წიგნიდან არ ამოჭერა, მამასახლისმა განუცხადა კანცელარიის გარეთ მივიღე და კვიტანციის წიგნი იქ არ მქონდაო; ბოქაულმა შეატანია აღებული ფულები მამასახლის ფულის წიგნში, იანგარიშეს და მამასახლის კოს. სვანაძეს აღმოუჩდა გაფლანგული ხუთი თვის განმავლობაში 615 მან. და 32 კაპ. ბოქაულმა მოახსენა საზოგადოებას საქმის მდგომარეობა. ხალხმა აირჩია კამისია, რომელსაც დაავალა გამოკვლევა—ყველა გადახდილი ფულია შეტანილი ხაზინაში და გაცემული დანიშნულებისამებრ თუ არა. ბოქაულმა აღძრა შუამდგომლობა მაზრის უფროსის წინაშე—მამასახლისი კოს. სვანიძის გადასაყენებლათ.

ვეტა.

## უკანასკნელი პასუხი.

„თანამედროვე ქვეყნის" კორესპონდენტს ბ. X-ს!

გაზეთის საშვალებით მე ორჯერ გამოვიწვიე ბ. X. სამედიატორო სამართალში იმ უსამართლო ბრალდებისათვის, რომელიც მან თავზე მომახვია. შემდეგ მისი თანამოაზრე ამხანაგი პირადათ გავუგზავნე და პასუხი მოვსთხოვე, მაგრამ ბ. X-მ დღემდის დუმილი არჩია.

რას უნდა მივაწეროთ თქვენი ამგვარი საქციელი, ბ—X, თუ არა იმას, რომ თქვენთვის გაუგებარია დანიშნულება ბეჭვდითი სიტყვისა, რომლის საშვალებით, თქვენის აზრით, რასაკვირველია, შეიძლება ჭორით და სიცრუით სავსე წერილები მოათავსოთ და შემდეგ კი, პასუხის გაცემა თუ დაგჭირდათ, დუმილი არჩიოთ, თქვენა გგონიათ, რომ, თუ კი ადამიანი ფსევდონიმს ამოეფარა, სინდისი და პატიოსნება მისთვის აღარ არსებობს და, რაც უნდა ჩაიდინოს, პასუხის მგებელი არ არის?! ამგვარი შეხედულობა მხოლოდ თქვენისთანა გულუბრყვილოსა და მასთან ერთად სინდისზე ხელაღებულ ადამიანს თუ შეუძლია იქონიოს და არა იმას რომელსაც საბრძოლველ იარაღათ სიმართლე და მასზე დაფუძნებული პრინციპები აქვს.

ამ შემთხვევაში თქვენ მეტად შესაფერ სახე გაქვთ და შესაფერ ქერქშიც ბძანდებით გახვეული. სხვა რა დაგრჩენიათ, თუ არა სიცრუე, ჭორიკანობა და ლანძღვა-გინება. შესაფერი ბინაცა გაქვთ ამგვარი ცნობების მოსათავსებლათ. მაგრამ, იცოდეთ, ამგვარი ზომებით ბ. X-ო ლელოს ვერ გაიტანთ და მუდამ იმ სასირცხო მდგომარეობაში ჩავარდებით, რომელშიც დღ საც იმყოფებით.

მე კი სრულიად დაკმაყოფებული ვარ, რადგან როგორც მკითხველმა საზოგადოებამ, აგრეთვე ჩემმა ამხანაგ-მეგობრებმაც ნათლად დაინახეს—ვის მხარესაცაა სიმართლე და რა სიმართლის მოძღვარიც ბძანებულხართ თქვენ.

დუტან ქორქაშვილი.

რედაკ.-გამომცემელი გ. ბრეგაძე.


## ახლათ გამოშვებული პაპიროზები „დელი-ბაბ"

10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ. იყიდება ყველგან.

პაპიროზები კეთდება გამორჩეული წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს. თუთუნის ქარხანა „ბინიატ-ოღლისა" ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი

სპეციალური წიგნის მაღაზია
### პ. ოცხელისა და ამხ.
ქუთაისში.
იყიდება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი, გეოგრაფიული კარტები, სურათები თვალ საჩინო სწავლის ათვის, მწერლების სურათები, მოძრავი ანბანი და სხვა.
პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებს და ბიბლიოთეკებს ეძლევათ დიდი საღავათო.

სპეციალური საკანცელარიო მაღაზია
### დ. ოცხელისა
ქუთაისში.
იყიდება ყოველ გვარი საკანცელარიო და სასწავლო ნივთი ახლათ მიღებულია არითმეტიკული ,,ჩოთქები'' და ყუთები, საღებავები, საუკეთესო რვეულები, ყოველგვარი ქაღალდი, კალენდრები, პორტფელები, კანტორის წიგნები. და მრავალი სხვა.
ფასები მეტად ზომიერია.

## გაფრთხილება.
საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ ჩემი ფირმის
# თაფლი
ქუთაისში იყიდება მხოლოდ ივანე მარკოზის ძე კაშაძის მაღაზიაში მიხაილოვის ქუჩ.
ი. რ. შაისურაძე.


## რკინის გზა.

ქუთაისიდან მიდის

| | | |
|---|---|---|
| **თფილისს:** | სახალხო დილის | 10 საათ. 6 წ. |
| | ფოშტის დილის | 11 საათ. 55 წ. |
| | სახალხო ღამით | 11 საათ. 27 წ. |
| **ბათომს:** | სახალხო დილის | 5 საათ. 10 წ. |
| | სახალხო ღამით | 11 საათ. 27 წ. |
| | ფოშტის საღამოს | 5 საათ. 21 წ. |
| **ფოთს:** | საავარაკო დღის | 4 საათ. 22 წ. |
| | სახალხო ღამით | 5 საათ. 10 წ. |
| | ფოშტის დღით | 5 საათ. 21 წ. |
| **შორაპანს:** | საავარაკო დღით | 4 საათ. 57 წ. |
| **ტყიბულს:** | სახალხო დღილის | 7 საათ. 50 წ. |

ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| **თფილისიდან:** | სახალ. დილ. | 7 საათ. — |
| | ფოშტის საღამ. | 6 საათ. 55 წ. |
| | სახალხო ღამ. | 1 საათ. 28 წ. |
| **ბათომიდან:** | საფ.-სახ. დილ. | 11 საათ. 14 წ. |
| | სახალხო ღამ. | 1 საათ. 27 წ. |
| **ფოთიდან:** | საავარ. დილ. | 10 საათ. 3 წ. |
| | სახალხო დღით | 1 საათ. 20 წ. |
| | სახალ. ღამით | 1 საათ. 26 წ. |
| **შორაპნიდან:** | საავარ. დილის | 9 საათ. 31 წ. |
| **ტყიბულიდან:** | საღამოს — | 5 საათ. 11 წ. |

ბილეთის ფასი:

| | П კლ. მან. | П კლ. კაპ. | Ш კლ. მან. | Ш კლ. კაპ. |
|---|---|---|---|---|
| თფილისამდი — — | 4 | 31 | 2 | 87 |
| ბათომამდი — — | 3 | 5 | 2 | 3 |
| ფოთამდი — — — | 2 | 21 | 1 | 47 |
| ქიათურამდი — — | 1 | 76 | 1 | 17 |

| | П კლ. მან. | П კლ. კაპ. | Ш კლ. მან. | Ш კლ. კაპ. |
|---|---|---|---|---|
| ბაქომდი — — — | 10 | 81 | 7 | 20 |
| მოსკოვამდი — — | 27 | 90 | 18 | 65 |
| პეტერბურგამდი — | 33 | 31 | 22 | 20 |
| ვარშავამდი — — | 31 | 50 | 21 | 5 |


# გ. გორდაძისა და ს. წერეთლის

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესა სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ"
რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო
ქარხნებისგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65



თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ადესელ სტუდენტთა ინიციატივით გამოვა ქართულ ენაზე სამეცნიერო სალიტერატურო კრებული

## ,,ცხოვრება და მეცნიერება,"

რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სტუდენტების გარდა ადგილობრივ უნივერსიტეტში მომუშავე სამეცნიერო ძალები. სუფთა შემოსავალი ამ კრებულიდან გადაიდება ადესის ქართულ საზოგადოების ,,საქართველოს''- სასარგებლოთ.

შინაარსი.

პრ.—დოც: ს. ავალიანი. დროებით ვალდებულ გლეხთა საკითხი. ორდინატორი ნერვულ კლინიკისა ექიმი ს. ყიფშიძე: საუბარი ტვინის ფუნქციებზე. პროზექტორი ანატომიურ თეატრისა ექიმი ნ. კახიანი: ნორმალურ ანატომიის შესავალი (უჯრედი და ქსოვილი). ორდინატორი გენერიულ კათედრაზე ექიმი მ. ტეხლაძე: ადამიანის სქესობრივი ცხოვრება. სტუდენტი პ. ქავთარაძე: ანაბიოზი. სტ. ქ. რაჭველიშვილი. საუბარი ხელოვნების შესახებ. სტ. ს. ასლანიშვილი. სამცხე-საათაბაგოს სიძველენი. სტ. გ. კარბელაშვილი. ახალგაზდები (მოთხ. სტუდ. ცხოვ.) სტ. დ. ჟღენტი. ბავშვის აღზრდა. სტ. გ. ურუშაძე. რადის მნიშვნელობა მედიცინაში.

ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში ალექსანდრეს ქუჩა. ზ. კოკოჩაშვილის სახლი. ხელის მოწერით წიგნი ეღირება ერთი მანეთი, შემდეგ 1 მ. 10 შ.

სამეცნიერო--პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

## „განათლება"

მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისთვის.

(წელიწადი მეშვიდე).

1914 წელში ჟურნალი ,,განათლება'' ჩვეულებრივათ გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან და სიტყვაკაზმული მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ უველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

ჟურნალში არის ცალკე განყოფილება, სადაც იბეჭდება ყოველგვარი ცნობა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანეთი** (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ **სამ მანეთად**, საზღვარგარეთ 6 მან. 1914 წ. ხელისმომწერლები მიიღებენ საჩუქრათ: **ილია ჭავჭავაძის, პესტალოცის, უშინსკის, რუსოსა და კომენსკის სურათებს.**

ხელისმოწერა მიიღება **თფილისში:** ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის" რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან. ქუთაისში** ისიდორე კვიცარიძესთან, **ბათომში** ტრ. ინასარიძესთან და წიგნის მაღაზია „განთიადში", ამ ორ ადგილას და სამტრედიაში იყიდება ცალკე ნუმრებიც, თითო 2 აბაზათ.

რედაქცია სთხოვს ხელისმომწერლებს დროზე დაიგვიანონ ჟურნალი.

მისამართი: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ,,სახალხო გაზეთი"

(წელიწადი მეხუთე)

1914 წ. გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდი გამოდიოდა ყოვლიუთით სურათებიანი დამატება

1914 წლ. ხელის მომწერნი, ვინც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან მიიღებენ პრემიათ: პირველი წიგნი: ქართველი მწერლები: 1 „უგვირგვინო მეფე" ისტორ. დრამა 5 მოქ. ალექ. შანშიაშვილისა. 2. „მიმქრალი შარავანდი" ისტ. რომ ვ. ბარნოვისა მეორე წიგნი: უცხოეთის მწერლები: „დონ კარლოსი"—ტრაგ. შილერისა, თარგმ. გერმან. ალ. შანშიაშვილისა. და სხვ. ნაწარმოები უცხოეთის მწერლებისა მესამე წიგნი ,,სამეცნიერო კრებული.'' ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

გაზეთის ფასი

თფილისში და მის გარეთ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8მ.10შ. | 8 მ.—„ | 7მ.10შ. | 6მ.15შ. | 6 მ.—„ | 5მ. 5შ. | 4მ.10შ. | 3მ.15შ. | 3 მ.—„ | 2მ. 5შ. | 1მ.10შ. | —15შ. |

საზღვარ გარეთ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15მ.—„ | 13მ15შ | 12მ.10შ | 11მ.5შ | 10მ.—„ | 8მ15შ. | 7მ.10შ. | 6მ. 5შ. | 5 მ.—„ | 3მ.15შ. | 2მ.10შ. | 1მ. 5შ. |

ცალკე ნომერი ყველგან შაურათ; დამატებიანი შვიდი კაპეკათ.

## ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

მიხეილის ქუჩაზე ამ დღესასწაულებისთვის მიღებულია საუკეთესო ღირსების

# თეთრი თაფლი

ალექსანდროპოლის ,,ალპიის ფლორის''. აქვე გვაქვს ყოველი გვარი საბაკალეო სიქონელი ფასები ზომიერია.